ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N10

01 აპრილი 2024 წელი

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

,,

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილი იქნეს ცვლილება ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N11 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 07/02/2023 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016492).

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მეშვიდე პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,ზ" ქვეპუნქტი.
2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მეორე პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,თ" ქვეპუნქტი.
3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მესამე პუნქტიდან ამოღებული იქნას ,,ბ" ქვეპუნქტი.
4. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ქსეროასლები ან მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი."

5. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მეორე პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,დ" ქვეპუნქტი.
6. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მეორე პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,გ" ქვეპუნქტი.
7. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,ა" ქვეპუნქტი.
8. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,2. დახმარება განისაზღვრება თვეში 70 ლარის ოდენობით";

9. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მეხუთე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ე" ქვეპუნქტი:

,,ე) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა."

10. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,ა" ქვეპუნქტი.
11. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების დახმარება გაიწევა პირადი განცხადების ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის პირველი მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-8 პუნქტისა, რომელიც ამოქმედდეს 2024 წლის 1-ელი აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე